თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის
ო ქ მ ი № 3

22. 03. 2021 წ.

ქ.თელავი

თავმჯდომარეობდა: **სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნანა ხვისტანი**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ტიტე დარეჯანიშვილი, დავით ღაღანიძე, მაია მარკოზაშვილი, ზურაბ ლილუაშვილი, არჩილი თვალიაშვილი, ზაქარია გრიშიკაშვილი, გიორგი მეტრეველი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა: თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი **ლევან ბერძენაშვილი.**

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის მერისთვის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის კახეთის ინტერმუნიციპალური სააგენტოს დაფუძნებასა და მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების დელეგირებაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

   მომხს. ნ. ხვისტანი

2. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის პროექტის განხილვის თაობაზე.

   მომხს. ნ. ხვისტანი

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 31 აგვისტოს N26 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

   მომხს. ნ. ხვისტანი

4. ,,ქალაქ თელავის ქალაქთმშენებლობითი დოკუმეტნაციის - გენერალური გეგმის, განაშენიანების გეგმის და ქალაქ თელავის ცენტრალური მოედნის განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე'' - დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელების შესახებ.

მომხს. ნ. ხვისტანი

5. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის N11 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. ნ. ხვისტანი

მოისმინეს:1. თელავის მუნიციპალიტეტის მერისთვის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის კახეთის ინტერმუნიციპალური სააგენტოს დაფუძნებასა და მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების დელეგირებაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: ნანა ხვისტანმა აღნიშნა რომ მიუსაფარი ცხოველების პრობლემა მწვავედ დგას და საჭიროებს გადაჭრას, ამიტომ მიზანშეწონილია კომისიამ დადებითად შეფასება მისცეს ინტერმუნიციპალური სააგენტოს დაფუძნებას.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს აღნიშნულ საკითხს.

გადაწყვიტეს: წარედგინოს სამართლებრივი აქტის პროექტი, საკრებულოს ბიუროს სხდომას, საკრებულოს მორიგ სხდომაზე განხილვის მიზნით.

მოისმინეს: 2. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული

სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის პროექტის განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა რომ მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებულ სამართალდარღვევებზე მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის რეაგირების, უკეთ სისტემატიზაციის და გამჭვირვალობისთვის აუცილებელია შემუშავებულ იქნას სამართლებრივი აქტის პროექტი საჯარიმო ქვითრების პროაქტიულად გამოქვეყნების უზრუნველსაყოფად წარმოდგენილი პროექტი მოწონებულ იქნა კომისიის წევრების მიერ.

გადაწყვიტეს: წარედგინოს სამართლებრივი აქტის პროექტი საკრებულოს ბიუროს სხდომას, საკრებულოს მორიგ სხდომაზე განხილვის მიზნით.

მოისმინეს: 3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 31 აგვისტოს N26 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ნანა ხვისტანმა აღნიშნა რომ, ვინაიდან ,,თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის დებულება" არის ნორმატიული აქტი, მასში ცვლილების განხორციელება მოითხოვს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას.

კომისის წევრებმა მხარი დაუჭირეს საკითხს.

გადაწყვიტეს: ადმინისტრაციული წარმოების დასაწყებად სამართლებრივი აქტის პროექტი წარედგინოს ბიუროს სხდომას საკრებულოს მორიგ სხდომაზე გატანის მიზნით.

მოისმინეს: 4. ,,ქალაქ თელავის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის - გენერალური გეგმის, განაშენიანების გეგმის და ქალაქ თელავის ცენტრალური მოედნის განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე'' - დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ნანა ხვისტანმა აღნიშნა რომ აღნიშნული დოკუმენტის მიღების ვადა იწურება და რადგან უახლოეს მომავალში ჭიანურდება მისი მიღება, მიზანშეწონილია გაგრძელდეს ადმინისტრაციული წარმოების ვადა.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წინადადებას

გადაწყვიტეს: წარედგინოს ბიუროს სხდომას სამართლებრივი აქტის პროექტი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ, საკრებულოს სხდომაზე მისი განხილვის მიზნით.

მოისმინეს: 5. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის N11 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ნანა ხვისტანმა აღნიშნა რომ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის N11 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ" ცვლილება განპირობებულია შშმ პირთათვის განკუთვნილი პარკირების ადგილის საშვის ფორმის დამტკიცებით.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წინადადებას.

გადაწყვიტეს: წარედგინოს ბიუროს სხდომას ცვლილების პროექტი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

კომისიის თავმჯდომარე: **ნანა ხვისტანი**